# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— სამშაბათი, 20 ივნისი 1900 წ. № 1157

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

10 მანეთი 6 მან. 4 მან.

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით

6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.**

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**


## მთავრობის განკარგულებანი

თიანეთის მაზრის თუშ-გახნთის ნაწილის ბოქაული რცხილაძე დათხოვნილი აქმნა სამსახურიდან თავისავე თხოვნის თანახმად.

# ახალი ამბავი

✦ „ს.—პეტერბურგის ვედომოსტებში“ ვკითხულობთ: „არა ერთხელ გვინახავს რუსეთიდან ამიერკავკასიაში მიმავალი პარტიები გადასახლების მსურველ გლეხთა. ამ პარტიების ბედი ხანდისხან ძალიან მწუხარე ყოფილა: გადასახლებულნი გლეხნი ან ციებ-ცხელებას გაუწყვეტია ან ადგილ-მამულის სივიწროვეს უკანვე გაუგდია სამშობლოში. ჩვენ ბევრჯელ გაგვიგონია, რომ ამიერკავკასიაში ადგილ-მამულის სივიწროვეა; ხოლო ერთმა ფაქტმა სრულიად დაგვარწმუნა ამაში: 3 ივნისს, ვლადიკავკავის რკინის გზის სადგურზე მიწაზე ისხდა მთელი გროვა გადასახლებულ გლეხთა. მათი შავგვრემანი პირისახე და ეროვნული ტანისამოსი უნებლიეთ იქცევდა დამსწრეთა ყურადღებას. ესენი იყვნენ **ქართველი გლეხები**, რომელნიც სამშობლოდან გარბოდნენ ჩრდილოეთისაკენ ახალის სამშობლოს მოსაპოვებლად. გლეხები ამბობდნენ, რომ მათ ქვეყანაში მეტის-მეტი ვიწროობაა; თუ ვისმე გააჩნია რამდენიმე ქცევა ადგილი, ისიც იმდენად დაილალა, რომ მოსავალს აღარ იძლევაო; დამშეულნი და მეტად შევიწროებულნი, იძულებული გავხდით თავი დაგვენებებინა სამშობლოსათვისო. საკმარისი იყო შეგვხედნათ ამ უბედურებისათვის და მაშინვე დარწმუნდებოდით, რომ ისინი მართალს ამბობდნენ... რამდენიმე დღის შემდეგ ამ პარტიას მოჰყვა მეორე პარტია და კიდევ მოელიან მესამეს. სულ ჩრდილოეთისაკენ წავიდა ამ ჟამად 400-მდე ქართველი. მომავალ წელს მათ მაგალითით გადასახლდება კიდევ 50 ოჯახი. ამრიგად ხალხი, რომელიც განთქმულია თავის სიყვარულით სამშობლოსადმი და რომელსაც არ ულალატნია თავის მიწა-წყალისთვის, რაც უნდა გაჭირვება დასდგომოდა, ეხლა, მშვიდობიანობის დროს, იძულებული გამხდარა დასტოვოს მამა-პაპის სისხლით მორწყული ადგილები და ეძიოს ახალი სამშობლო (ესეც ბედისაგან დაცინვაა!) ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანთა შორის! ყოველივე გაჭირვებას დაუმატეთ ისიც, რომ გადასახლებულებმა არ იციან, ქართულ ენის გარდა, არც ერთი სხვა ენა და თქვენ დარწმუნდებით, რა უბედურებაში არიან ჩაცვივნულნი ახალის სამშობლოს მაძიებელნი!.. რადგანაც ქართველ გლეხთა მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ გაძლიერდება, კავკავში განუზრახავთ დააარსონ დამხმარებელი კომიტეტი ქართველ-გადასახლებულთათვის, იმგვარივე, როგორიც არსებობს ტფილისში რუსებისთვის“.

✦ დღეს, სალამოს მატარებლით, ტფილისიდან მიდის ბათუმს და იქიდან საზღვარ გარეთ **თავ. ილია ჭავჭავაძე**. თავ. ჭავჭავაძე ექიმობას დაიწყებს ბერლინში და შემდეგ წყლებზე წავა ვისბადენში.

✦ ამ დღეებში ჩვენ ვაუწყეთ მკითხველთ, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა **ახალი წესდება სამედიცინო კრედიტისა**. გაზეთების სიტყვით, ეს საყურადღებო კანონი პირველ ხანებში, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსეთის შიდა-გუბერნიებში იქნება შემოღებულიო.

✦ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ განზრახვა აქვთ მოიწვიონ ტფილისში მეორე **კრება კავკასიის ექიმთა**. კავკასიის საექიმო საზოგადოება ამ ჟამად საყოველთაოდ აცხადებს, რომ კრების წესდება უკვე დამტკიცდაო. კრებას, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნას მომავალ დეკემბერში, სჯაბაასი ექნება შემდეგ საგნების შესახებ; 1) ციებ-ცხელება კავკასიაში; 2) სიფილისი; 3) ყვავილი და სხვა გადამდები სენი; 4) თვალის ავადმყოფობა და სიბრმავის გავრცელება კავკასიაში; 5) კეთრის გავრცელება; 6) ჰლექიანებისთვის სანატორიების გაკეთება კავკასიაში; 7) ამიერ კავკასიის ჰავა და სანიტარულ-საექიმო მდგომარეობა; 8) პრაქტიკული საექიმო კითხვები ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით და აგრეთვე ამიერ-კავკასიაში სულით ავადმყოფთა მზრუნველობა-პატრონობის საქმე.

✦ დღეს, დილის $10^1/_2$ საათზე, აკურთხებენ და გახსნიან **ბრმათა ტფილისის სასწავლებლის ახალს შენობას**.

✦ უმთავრესს სასულიერო უწყებას საბოლოოდ გარდაუწყვეტია შემოიღოს სასულიერო სემინარიების უფროს კლასებში **ზოგადსარეულო ექიმობის** სწავლება.

✦ თელავის საქალაქო სასწავლებელს ნება მიეცა მართოს ხოლმე დროგამოშვებით **სახალხო კითხვები** ბუნდოვანის სურათებით.

✦ როგორც გადმოგვცეს, ოდესის უნივერსიტეტში წელს დაუტოვებიათ **საპროფესსოროდ მოსამზადებლად** სამი ქართველი ახლად კურს-დასრულებული: ბ ბ. ჯაყელი, კლდიაშვილი და ამირაჯიბი.

✦ წელს კიევის სასულიერო აკადემიაში **სწავლა დაასრულა** ერთმა ქართველმაც—მათე ოქროპირიძემ, ხოლო ყაზანის აკადემიაში—მიხეილ ფხალაძემ.

✦ მოსკოვის კბილის ექიმთა უმაღლესს მასწავლებლის კურსებზე ეგზამენი დაიჭირა წელს ერთმა ჩვენმა თანამემამულე ქართველმა ქალმა ქ-ნმა ს. გ—ს ასულმა რომანიშვილმა, რომელიც სამზღვარ გარეთ ქალაქ ბერლინში გაემგზავრა თვისის სპეციალურ საგნის უფრო ვრცლად შესასწავლ-დასამთავრებლად.

✦ ბაგრატიონთაგან აღგებულს დიდებულს **მარტყოფის ტაძარს** ჟამთა მიმდინარეობამ დააჩნია თვისი ულმობელი ხელი: ტაძარი საჭიროებს ადგილ-ადგილ შეკეთებას. იკონოსტასი სრულებით დაძველდა და დიდ შეკეთებას ითხოვს, მოხსენდა რა ეს ამბავი გენერალ-ადიუტანტს თ. გრიგოლ ლევანისძეს დადიანს, მისმა უგანათლებულესობამ სასარგებლოდ ამა ტაძრისა, რომელშიაც განისვენებენ მისნი წინაპარნი, შესწირა 700 მანეთი („მწყემსი“).

✦ სამაზრო და საქალაქო სასწავლებლის კურს-დამთავრებულებმა, თუ მოისურვეს **აფთიაქას მოწაფედ** შესვლა, უნდა დაიჭირონ ეგზამენი ლათინურში, ალგებრაში და რომელიმე უცხო ენაში—ფრანგულში, ან გერმანულში.

✦ ამ ჟამად ამიერ კავკასიიდანაც ძალიან ბევრი მიდის **პარიზის გამოფენაზე**. მარტო ტფილისის გუბერნატორს გაუცია 582 პასპორტი პარიზში წამსვლელთათვის.

✦ «მწყემსში» გვითხულობთ: «წარსული თვის მარტის ათს, დღით შაბათს, სოფ. მესხეთში (ქუთაისის მაზრა) დაიკარგა გლ. სარდიონ თევდორეს ძის ფხაკაძის 13 წლის გაჟი იასონი. აი საქმე როგორ იყო: 10 მარტს, დღით შაბათს, დილით, სარდიონის შვილმა იასონმა გარეკა საქონელი სამოვრად სოფ. მესხეთიდან «მაკვენჩხლიანში» (ადგილის სახელია), ამ ადგილს უვლის რკინის გზა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იასონს მატარებელმა მოუკლა ორი სული საქონელი, ძროხა—დედა შვილითურთ. აი ამ მოულოდნელის შემთხვევისა გამო, შეშინებული იასონი იმ ფიქრით, რომ ეს გარემოება გაიგეს ჩემმა მშობლებმა, გამლახავენო, სადღაც გადაიკარგა და დღემდე ვერ უპოვნიათ თავისს მშობლებს ცოცხალი და ვერც მკვდარი...

დაკარგულის იასონის შესამჩნევი ნიშნები: წლოვანებით 13 წლისა, ტანად წლოვანების შესაფერი, კარგა მომსუქნო პირის სახისა, ცხვირი მოკლო, თვალები თაფლის ფერი, სახე შავის ფერი, შუბლი მოზრდილი, თითქმის მოწკნილის სახისაა, თმა წაბლის ფერი...

მშობლები იასონისა—სარდიონ თ. ფხაკაძე და თევდორე—ბაბუა დაკარგულის იასონისა უმორჩილესად სთხოვენ სოფლების ადმინისტრაციას—მამასახლისთ და ბოქაულთ და ყველას ერთობით,—რათა მიაქციონ თავიანთი ყურადღება ამ გარემოებას და თუ სადმე ნახონ ზემო აღნიშნული სახის ყმაწვილი, აუწყონ რომელიმე რედაქციას ან და ს. ქვიტირის (ქუთ მაზრა) მამასახლისს.

უმორჩილესად სთხოვენ დაკარგულის იასონის მშობლები ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, გადაბეჭდონ ეს ამბავი.»

## სასამართლოს მატიანე

ქ-ნ სოფიო არაფელოვისა და ს. წერეთლის საქმე.

ამა წლის 26 მაისს ტფილისის მე-2 განყოფილების სასხლის სამართლის მომრიგებელმა მოსამართლემ ბ-ნმა ს. პ. დიაკონოვმა განიხილა, სხვათა შორის, ერთი საყურადღებო საქმე, რომლითაც ბრალი ედებოდა ცნობილ ნავთისმწარმოებლის არაფელოვის მეუღლეს ქ-ნ სოფიო არაფელოვისას სამრევლო სკოლების გაოლბის მასწავლებლის ბ-ნ ს. წერეთლის ქურდობის ჩადენაში ცილის დაწამების გამო. აი ამ საქმის გარემოება: მარტში, როგორც აღმოჩნდა, ვიღაც არუთინ შულაკიანცს მოუპარავს ქ-ნ არაფელოვისათვის „პალტო“ ვერცხლის სათუთუნეთი. მოსამსახურეს ქურდი კიდეც შეუმჩნევია, რომლის ნიშნებიც სახისა და ტანის მოყვანილობა კიდეც გაურჩევიათ. შემდეგ, სახელდობრ 23 მარტს, ბ-ნი წერეთელი მიდიოდა თურმე საგუბერნიო სამმართველოში საგუბერნიო ექიმ ბ-ნ ქიქოძესთან, რომელიც უნდა მიეწვია სახლში იმ დღეს ავადმყოფის საექიმოდ. ბ-ნ ს. წერეთლისთვის სამმართველოს შესავალთან მიუსწვრია ქ-ნ არაფელოვისას, რომელსაც დაუძახნია პოლიციის მოხელისათვის და, როგორც მომჩივანის ჩვენებიდან სჩანს, უთქვამს, ეს არის ჩემი „პალტოს“ ქურდი და პოლიციაში უნდა წამოიყვანოთო. ამ შემთხვევით განცვიფრებულს წერეთელს აუხსნია ქ-ნ არაფელოვისათვის, რომ თქვენ შემცდარი ხართ, ტყუილად მწამებთ ქურდობასო, რის დასამტკიცებლადაც შეუძლევია ადრესი და და უთქვამს, რომ მე მასწავლებელი ვარ და ეხლა ექიმთან მივდივარ საჭირო საქმისათვისო და სხვა, მაგრამ, წერეთლის სიტყვით, ქ-ნი არაფელოვისა ამით არ დაკმაყოფილებულა და განუცხადებია პოლიციელისათვის წერეთლის პოლიციაში წასვლის მიუცილებლობა. ბ-ნი ს. წერეთელი, რომ ველარაფერს გამხდარა, ძალა უნებურად წაჰყოლია პოლიციაში, რაიცა კიდეც შეამოწმა თვისის ჩვენებით ექიმმა ბ-ნმა ქიქოძემ. პოლიციაში დაუბარებიათ მოსამსახურე ბიჭიც, რომლისათვისაც უკითხავთ,—ეს არის თუ არა პალტოს ქურდიო! მსახურს უარი უთქვამს; ეგ არ არისო. როცა პოლიციაში მიდენილან, გზაში შეხვედრია წერეთელს ნაცნობი ბ-ნი სალარიძე, რომელსაც გაუგია თუ არა საქმე რაში ყოფილა, უთქვამს ქ-ნ არაფელოვისათვის, რომ მე კარგად ვიცნობ წერეთელს, ეგ მასწავლებელია და სრულიად უსაფუძვლოდ სწამებთ მას ქურდობასო და სხვა, რაზედაც მოწმეს, როგორც ამბობს, პასუხად მიუღია, რომ იგი ვინ გამოიწვია და ვინ რასა ჰკითხავს. ბ-ნს წერეთელს ამ გარემოებით მეტი ზნეობითი შეწუხება მიჰყენებია ამბობენ და ერთ მოწმემაც უჩვენა საქმის გარჩევის დროს 26 მაისს, რომ ამ ამბის დროს დიდძალ ხალხს შეუყრია თავი, შიგა და შიგ ხალხი გაიძახოდა: თურმე ქურდი დაიჭირეს ქურდიო, და ერთი მასხარამბა ლაზღანდარაობით კიჟინა დაუციათ წერეთლისათვის. შემდეგ როცა საქმე გამორკვეულა, თუმცა ქ-ნ არაფელოვისას ბოდიში მოუხდია, მაგრამ ბ-ნ წერეთელს განუცხადებია, რომ მას იმოდენა სატანჯელი და ზნეობითაც შელახვა-შევიწროება მიაღგა, რომ ბოდიში ვერ დააკმაყოფილებს და საქმეს ვერ დასთმობს, ესევე განუმეორა წერეთელს საქმის გარჩევის დროს ბრალდებულის ვექილმა ბ-ნ ტურკევიჩმა, რომელმაც განაცხადა სასამართლოში, რომ მას დაევალა ქ-ნ არაფელოვის მაგივრად ბოდიში მოიხადოს წერეთლის წინაშე, რადგანაც იგი შეცდომაში შევიდა და ქურდად იგი მიიღო.

26 მაისს, საქმის გარჩევის დროს, მომრიგებელ მოსამართლემ ჩვენება ჩამოართვა 5 მოწამეს და რადგანაც მომჩივნის ვექილმა ბ-ნმა გიორგი გძელიშვილმა სთხოვა მოსამართლეს, რომ ზოგიერთი საბუთები მაქვს კიდევ წარმოსადგენი და აგრეთვე სხვა მოწმებიც მინდა დავასახელო, რისათვისაც დროა საჭირო და ამიტომ საქმის გარჩევა გადასდევითო, მომრიგებელ მოსამართლემ საქმის გარჩევა გადასდო 19 ივნისისათვის. გუშინ ეს საქმე უკვე იყო დანიშნული განსახილველად, მაგრამ მეორედ იქმნა გადადებული 30 ივნისისათვის. ამ საქმის შესახეს მომრიგებელ მოსამართლის განაჩენს შემდეგ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

## სამეცნიერო ცნობა

### ყვავილის აცრა და დ-რი ჯენნერი

V

ჯენნერმა კი, როგორც ვიცით, საუკეთესო საშუალება გამოიგონა ყვავილის აცრისა, მაგრამ სხვა უფრო თავი და თავი საქმე წინ იყო კიდევ: იგი უნდა გაევრცელებინა ხალხში და მთელ დედამიწის ზურგზე მოეფინა. საქმე გავრცელება იყო. 1798 წ. 21 ივნისს ჯენნერმა გამოსცა პატარა წიგნი ამ სათაურით: „ძროხის ყვავილის მოქმედებათა და მიზეზთა გამოკვლევანი“, რომელშიაც უამბო საზოგადოებას ყველაფერი თავის გამოგონების შესახებ. თავისს თხზულებაში ჯენნერს ამნაირი აზრი გაჰყავდა. „როდესაც ადამიანი დაუსხლტდა ხელიდან ბუნების გავლენას და მისგან თავი გაინთავისუფლა, მაშინ მას თავს დაატყდა ათას ნაირი ავადმყოფობა. წინად კი, როცა იმ პირველმყოფობის მდგომარეობაში იყო, ავადმყოფობის მაინცა და მაინც არაფერი იცოდა. ზოგიერთ ცხოველებსაც ამნაირი ბედი ეწიათ, განსაკუთრებითი კი იმათ, რომლებიც ადამიანმა თავიდგანვე დაიმორჩილა და მოაშინაურა. ამ ცხოველებსაც სხვა-და-სხვა ნაირი ჭირი გამოაჩნდათ და სხვათა შორის აი ყვავილიც. ცხოველებიდან იგი მერე კაცზედაც გადავიდა, მაგრამ მას უფრო სასტიკად მოჰკიდა ხელი“. ამისათვის, ამბობდა ჯენნერი, როცა ჩვენ ცხოველის ყვავილს აუცრით ადამიანს, მაშინ ამით მას გადავდებთ პირველ სახის ადვილად მოსახდელ ყვავილს. ამასთანავე ჩვენ ვსპობთ მისს სხეულში მავნე თვისებიანი ყვავილისადმი მიდრეკილებასაო.

ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებაზე. მიზეზი ცხადია. მანამდი ფიქრადაც არავის მოსვლოდა ცხოველების ყვავილის აცრა ადამიანისათვის. ახლა კი გამოვიდა ვიღაც მაზრის ექიმი და მთელ საზოგადოებას არწმუნებდა, რომ ყვავილის აცრა გამოვიგონე ახალი საშუალებით და იგი მიიღეთო. ჯერ კიდევ, სანამ ამ ახალ გამოგონებას ფრთები შეესხმებოდა, ჯენნერი მაშინდელი საზოგადოების უმეცრებას უნდა შესჭიდებოდა. ეს ასეც მოხდა. შეიტყეს თუ არა ჯენნერის აზრი, ყველამ სასაცილოდ აიგდო იგი. იმ დროში დიდად შესანიშნავმა დოქტურმა მოზელეიმაც ჯენნერის წინააღმდეგობა დაიწყო. იგი სწერდა ერთხელ: „რა ამბავია ეს აშკარა სიცრუე?! რის მაქნისია ეს არევ-დარევა ადამიანისა და ცხოველების სენისა ერთი-ერთმანეთში? ნუ თუ ამით მინოტავრებისა და ცენტავრების გამრავლება სურთ ჩვენში?“ მაგრამ მაინც იმ საგანმა როგორღაც ყველას ყურადღება მიიპყრო. ყველას ჯენნერის გამოგონება ეკერა ენაზე. ჯენნერს კი ახლაც ფრთხილად ეჭირა თავი და აშკარად გრძნობდა, რომ უკვე დადგა უკანასკნელი წუთი, როცა სულ მთლად უნდა გადაწყვეტილიყო მისი გამოგონების ბედ-იღბალი. ახლა მას ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა, რომ ნათლად დაემტკიცებინა საზოგადოებისათვის ამ აცრის სარგებლობა. საბედნიეროდ, ექიმებს შორის მალე გამოჩნდნენ ჯენნერის თანამოაზრენიც. ყველაზედ უწინ ამ ახალ-ნაირი ყვავილის აცრის სარგებლობა ლონდონის ერთმა ექიმმა კლაინიმ შეიგნო. იგი ურჩევდა ჯენნერს ლონდონში მისვლას და იქ პრაქტიკაზე მეცადინეობას. ამასთანავე იმასაც უთვლიდა, რომ მას აქედან დიდი სარგებლობა მოელოდა. მაგრამ ჯენნერმა უპასუხა: „ამდენი ხანია, მე ცხოვრების მოედანზე მაღალი ად-

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1155.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**19 ივნისს**

**პეტერბურგი.** ჩამოვიდა ხივიდან ხივის ხანის მემკვიდრე სეიდ-ასფენდიარ-ჯან-ტიურ.

ვიცე-ადმირალი ალექსიეევი დეპეშით ატყობინებს სამხედრო მინისტრს პორტ-არტურიდან 14 ივნისს: „ტაკუდან გენერალი სტესსელი იტყობინება, რომ ტიანცზინის არსენალი, რომელიც დიდ ზარალს აძლევდა ევროპიელთ, აღებულ იქმნა იერიშის მიტანით. დაწვრილებით შემდეგ.

**სევასტოპოლი.** შავი ზღვის ფლოტის 6 სანაღმო ნავი მივიდა ჯარილგაჩის ნავთ-სადგურში. ზღვაოსნებს ძალიან მოეწონათ ახალი ნავთ-სადგური. შავი ზღვის ფლოტილია წავიდა ზღვაში.

**ოდესა.** ივნისის წვიმები ძალიან მოუხდა მცენარეულობას ბესსარაბიისა და ხერსონის გუბერნიებში, თუმცა ზოგან წვიმამ დაიგვიანა. მოსავალი ზოგან დიდი იქნება, ზოგან ცოტა, მაგრამ მოუსავლელობა არსად არ იქნება.

**ვენა.** აქ არაფერი არ იციან პარიზიდან მოსულ ცნობის შესახებ, ვითომც სახელმწიფოები შეთანხმებულან და ჩინეთისაგან მოუთხოვნიათ თავდებობა იმისა, რომ ზარალს უზღვევენ უცხოელთ; აგრეთვე აქ არაფერი იციან იმის შესახებ, ვითომც უცხო სახელმწიფოებს განზრახვა ჰქონდესთ გაძლიერება ჩინეთში გაგზავნილ ჯარებისა 80 ათას კაცამდე. სახელმწიფოები შეთანხმებულან მხოლოდ თავის ინტერესების დაცვისათვის ჩინეთში. სიცრუეა ის ხმა, ვითომც მალე სამმა იმპერატორმა ერთმანეთი უნდა ინახულონო.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა, სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა გადასწყვიტეს, რომ ახალი ინსტრუქცია ამერიკის ელჩისათვის ჩინეთში საჭირო არ არისო. მიმშველი ჯარი უნდა გაიგზავნოს მხოლოდ ელჩის დაბარებით.

**ვორონეჟი.** 18 ივნისს სახალხო მატარებელი № 21, ხარკოვიდან მიმავალი ბალაშოვის გზაზე, სადგურ ლისკისთან გადავარდა ლიანდაგიდან; დაშავდა ლოკომოტივი და რამდენიმე ვაგონი; ჯერჯერობით აღმოჩნდა 4 მკვდარი და 10 დაჭრილი. გზა შეიკრა.

**ნიუ-იორკი.** ცეცხლი გაუჩნდა ნავების მისადგომებს ჩრდილოეთ გერმანის ლოიდისა; დაიწვა ოთხი მისადგომი. ძალიან გაფუჭებულია გემები ლოიდისა „მაინ“, ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოებისა „ფენიცია“; ნაკლებათ არიან გაფუჭებული ლოიდის გემები „ზაალე“ და „ბრემენი“. ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოების ნავების მისადგომი დინამიტით ააფეთქეს, რომ ცეცხლი არ გაძლიერებულიყოს. როდესაც ცეცხლი გაჩნდა, მრავალი მგზავრი წყალში გადაცვინდა; ზოგი დაიხრჩო, ზოგიც დაიწვა. ამბობენ, რომ ასობით დაღუპულა; შუადღემდის დაახლოვებითაც კი ერ იყო გამორკვეული, რამდენი დაიღუპა.

**რეიჰშტადტი.** მოხდა ქორწინება ავსტრიის ერცჰერცოგისა ფრანც-ფერდინანდისა და ხოტეკის გრაფის ასულისა, რომელსაც ებოძა წოდება კნეინა გოენბერგისა.

**პარიზი.** გაიხსნა საერთა-შორისო კრება მეურნეთა ჟან დიუპუის თავმჯდომარეობით.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

---

გილები არ მიძებნია,—ვაკე მიყვარდა ხოლმე და არა მთები; ნუ თუ ეხლა, როცა სიცოცხლის საღამო მომიახლოვდა, წავიდე სიმდიდრისა და პატივის საძებნელადო?“ და ჯენნერი ისევ სოფელში დარჩა.

ეხლა სხვა დოქტორებიც შეუდგნენ ამ საქმის კვლევასა და ძიებას. მაგალითად, ერთმა მათგანმა—პირსონმა მთელ ინგლისს მიჰმართა წერილით და სთხოვა საზოგადოებას, რომ მისთვის შეეტყობინებინათ ძროხის ყვავილის მოქმედება ადამიანზე. ყველასაგან მიიღო იმისთანა ცნობები, რომლებიც ჯენნერის აზრს აშკარად ამტკიცებდნენ. მეორე დოქტორმა ვუდვილმა კი თავის თვალით ინახულა ძროხის ყვავილი ერთს მახლობელ ფერმაში და ამაზე ჯენნერსაც მისწერა: „მე ავიღე ჩირქი ერთი ყვავილიანი ძროხის მუწუკიდან და იმავე დღეს ექვს კაცს ავუცერი. მეორე დღეს ერთს მათგანს ყვავილი გამოაჩნდა. მერე აქედან კიდევ ჩირქი ავიღე და რამოდენიმე კაცს საავადმყოფოში ავუცერიო.“

რაც უფრო ხანი გადიოდა, მით უფრო ემატებოდნენ ჯენნერს თანამგრძნობლები, სხვათა შორის ერთხელ დოქტორმა პირსონმა მისწერა: „თქვენი სახელი იცოცხლებს კაცობრიობის მეხსიერებაში იმ დრომდე, ვიდრე მადლობისა და პატივისცემის გრძნობა კეთილ-მოქმედთადმი არ ამოიხოცება მათი გულიდგანაო.“

ამნაირად, კაცს ეგონებოდა, რომ ჯენნერის გამოგონება ძლიერ ადვილად ვრცელდებაო, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. მისს გავრცელებას წინ გადაეღობა ერთი დიდი უბედურება და ცოტა ხნობით შეაფერხა.

(შემდეგი იქნება)

---

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

ხორცი ძროხისა . 1 გ. 10 კ.
სუკი . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — $8^1/_2$ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ზურგა-
ლი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დაღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალეზე,
ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.,
1 1 30 1 20
ხორ. წითელი. . . 1 1 15 —
ქერი . . . . . 1 1 1—5—
სიმინდი . . . . 1 — 80——
ფქვილი სოფლისა. 1 1 20——
» უფრო მდარე. 1 1 10——
კომბოსტო. . . . 1 — 60——
კარტოფილი. . . . 1 — 60——
ხახვი . . . . . 1 — 50——
თივა . . . . . 1 — 30——
ბზე. . . . . . . 1 — 28——

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0 | —9 მ. 25 კ. | № 4 | —7 » 25 » |
| № 1 | —8 » 50 » | № 5 | —7 » — » |
| № 2 | —8 » — » | № 6 | —6 » 75 » |
| № 3 | —7 » 50 » | № 7 | —6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%. შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ყაშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და აჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მემკვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის

საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

საფოსტო მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

სახალხო მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

სახალხო მატარებელი № 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

სააგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სააგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10 წ. საღ.; შორაპანში ჩადის ღამ. 1 ს.


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა კრეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



# ОТЪ КОНТОРЫ ГАЗЕТЫ

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Изданіе газеты „**Новое Обозрѣніе**“ будетъ возобновлено *съ 18-го августа настоящаго года.*

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшихся за конторой денегъ, будутъ получать газету *безъ доплаты* съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г., доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 коп.

Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Обозр.“, причемъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

**ДЛЯ ПРІЕМА ПОДПИСКИ И ОБЪЯВЛЕНІЙ**

контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ—отъ 6 до 7 час. вечера. (3—ᲠᲒ.—3)



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I სახრო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. ზ. გუნია.